საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
Georgian Civil Aviation Agency

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს

საქმიანობის ანგარიში

2023 წელი

სააგენტოს შესახებ

სამოქალაქო ავიაციის სააგენტო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო ავიაციის დარგის რეგულირებას, მუდმივ ზედამხედველობას, კონტროლს და შესაბამისი მომსახურებების გაწევას.

ჩვენი უმთავრესი მიზანებია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხო ფუნქციონირება, საავიაციო უსაფრთხოებისა და უშიშროების მაღალი სტანდარტების დანერგვა ევროკავშირთან ერთიანი საჰაერო სივრცის შეთანხმებით გათვალისწინებული რეგულაციებისა და დირექტივების დანერგვით, მგზავრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, საავიაციო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება და სხვა.

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს საქმიანობა მოიცავს სამ ძირითად პროცესს. ესენია: სამოქალაქო ავიაციის რეგულირება (სამოქალაქო ავიაციის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების ან/და ცვლილებების მიღება), ავიასწარმოებისა და ავიასპეციალისტების სერტიფიცირება და მათი მუდმივი ზედამხედველობა. სააგენტო ასევე უზრუნველყოფს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების, სამოქალაქო აეროდრომების სახელმწიფო რეგისტრაციას, ავიაკომპანიების ბაზარზე დაშვებას და საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით დელეგირებული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებია: ფრენის სტანდარტების, სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტი; აეროდრომების და აეროპორტების დეპარტამენტი; სააერნაოსნო მომსახურების დეპარტამენტი; საჰაერო ხომალდების ვარგისობისა და რეგისტრაციის დეპარტამენტი; გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტი; საავიაციო უშიშროების დეპარტამენტი; ადმინისტრაციული დეპარტამენტი; ხარისხის მართვის დეპარტამენტი; უპილოტო საჰაერო სისტემების და საერთო დანიშნულების ავიაციის დეპარტამენტი; სამართალშემოქმედების, საერთაშორისო სტანდარტებისა და ევროკავშირის რეგულაციების დანერგვის დეპარტამენტი.

რეგულირება / სამართალშემოქმედებითი საქმიანობა

სააგენტოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობა ითვალისწინებს სამოქალაქო ავიაციის სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტების, სახელმძღვანელოების, ინსტრუქციების შემუშავებას და მიღებას, ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული, სამოქალაქო ავიაციის სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების პროექტების შემუშავებას. სააგენტოს მიერ, სამოქალაქო ავიაციის მარეგულირებელი აქტების შემუშავების უფლებამოსილება განსაზღვრულია საქართველოს საჰაერო კოდექსით, ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ საქართველოს კანონით და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დებულებით.

ფრენების უსაფრთხოების გაუმჯობესების, ზედამხედველობის ხარისხის ამაღლების, მგზავრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით, 2023 წელს, სააგენტომ შესაბამისი ევროკავშირის რეგულაციების და დირექტივების მიხედვით, ICAO-ს სტანდარტებისა და რეკომენდირებული პრაქტიკის შესაბამისად, ასევე პარტნიორი სახელმწიფოების წარმატებული პრაქტიკის გათვალიწინებით, შემდეგი წესები/ცვლილებები მიიღო/პროექტზე იმუშავა:

- **საფრენად ვარგისობის კომბინირებული საწარმოს სერტიფიცირების წესი** (სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 23 იანვრის N7 ბრძანება). წესის მიზანია საავიაციო ტექნიკის ტექნიკურ მომსახურებასთან და საფრენად ვარგისობის შენარჩუნებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება და იგი შემუშავებულია საქართველოს საჰაერო კოდექსის, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს კონვენციის №8 დანართის და ევროკავშირის 2014 წლის 26 ნოემბრის რეგულაციის (EU) №1321/2014 მოთხოვნების საფუძველზე. წესის მოქმედება ვრცელდება საფრენად ვარგისობის კომბინირებულ საწარმოზე, რომელიც ახორციელებს საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული ისეთი საჰაერო ხომალდის და მისი კომპონენტების ტექნიკურ მომსახურებასა და საფრენად ვარგისობის შენარჩუნებას, რომელიც არ წარმოადგენს კომპლექსურ საჰაერო ხომალდს და რომლითაც არ ხორციელდება კომერციული საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვა.



- **საერთაშორისო ავიაციისთვის ნახშირორჟანგის გამონაბოლქვის შემცირებისა და კომპენსაციის წესი** (სააგენტოს დირექტორის 2023 წლის, 22 ნოემბრის N235 ბრძანება) ძალაში 2024 წლის 1 იანვრიდან შევიდა. ნახშირორჟანგის კომპენსირებისა და შემცირების სტანდარტი ნოვაციაა სამოქალაქო ავიაციის სფეროში და მისი ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვით, სააგენტომ პირველად მოახდინა გარემოზე სამოქალაქო ავიაციის მავნე ზეგავლენის საკითხის რეგულირება. წესი შემუშავებულია „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის მე-16 დანართით გათვალისწინებული სტანდარტის (CORSIA) შესაბამისად და მისი მიზანია საერთაშორისო ფრენებზე, სამოქალაქო საჰაერო ხომალდების მიერ გამოყოფილი ნახშირორჟანგის გამონაბოლქვის შემცირება და კომპენსაცია, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ატმოსფეროზე სამოქალაქო ავიაციის მავნე ზეგავლენის მინიმუმამდე შემცირებას.

  წესის მოქმედება ვრცელდება საქართველოში რეგისტრირებულ საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტებზე (ავიაკომპანიებზე), რომლებიც ახორციელებენ 5700 კგ-ზე მეტი მაქსიმალური სერტიფიცირებული ასაფრენი მასის მქონე საჰაერო ხომალდის (თვითმფრინავის) ექსპლუატაციას და რომელთა მიერ ამავე საჰაერო ხომალდების ფრენის შედეგად საერთაშორისო ფრენებზე წლიურად გამოყოფილი ნახშირორჟანგის გამონაბოლქვი აღემატება 10 000 ტონას. შესაბამისად, საქართველოში რეგისტრირებული ავიაგადამზიდველები ვალდებულნი არიან აღრიცხონ მათ მიერ გამოყოფილი CO2-ის ოდენობა 2024 წლის 1 იანვრიდან შესრულებულ საერთაშორისო ფრენებზე და დააკომპენსირონ იგი ან წინასწარ იზრუნონ მის შემცირებაზე.

  წესის მოქმედების ფარგლებში, სააგენტო ზედამხედველობას გაუწევს ავიაგადამზიდველების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში გამოყოფილი CO2-ის მონიტორინგს, შეითანხმებს ამგვარი მონიტორინგის მეთოდიკას და განახორციელებს თითოეული ავიაგადამზიდველისთვის CO2-ის საკომპენსაციო ოდენობის დაანგარიშებას.

  აღსანიშნავია, რომ სააგენტომ ახალი გარემოს დაცვითი სტანდარტის დანერგვაზე მუშაობა ჯერ კიდევ 2021 წელს დაიწყო და სრულად უზრუნველყო ინდუსტრიის ინფორმირება წესის დანერგვის შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით. ავიაგადამზიდველების

წარმომადგენლებს არაერთგზის მიეცათ შესაძლებლობა დასწრებოდნენ ტექნიკური ხასიათის შეხვედრებს, მათ შორის ადგილობრივ და ICAO-ს ეგიდით ორგანიზებულ სემინარებს.

- **საერთო დანიშნულების ავიაციის მიზნებისთვის საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციის წესი** (სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 21 ნოემბრის N230 ბრძანება). წესის მიღების მიზანია ქვეყანაში საერთო დანიშნულების ავიაციის ფრენის უსაფრთხოების ხარისხის ამაღლება და განვითარების ხელშეწყობა, აღნიშნული სახის ექსპლუატაციაში ჩართული თვითმფრინავებისა და შვეულმფრენებისათვის შესაბამისი საექსპლუატაციო მოთხოვნების დადგენის გზით. წესი ეფუძნება ევროკომისიის რეგულაციის „Commission Regulation (EU) No 965/2012 – Air Operations“ მე–7 დანართს (PART–NCO) და შესაბამისობაშია სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) მიერ, აღნიშნული მიმართულებით დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებთან და რეკომენდირებულ პრაქტიკასთან (SARPs).

  წესი ძრავიანი არაკომპლექსური საჰაერო ხომალდების არაკომერციული ექსპლუატაციისათვის განსაზღვრავს ზოგად მოთხოვნებს, საექსპლუატაციო პროცედურებს, საჰაერო ხომალდის საფრენოსნო მახასიათებლების, საექსპლუატაციო შეზღუდვების, ასევე, თვითმფრინავის და შვეულმფრენის ხელსაწყოების, მონაცემების და აღჭურვილობის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. წესის მოქმედება ვრცელდება ძრავიანი არაკომპლექსური სხ–ის გამოყენებით საქართველოს საჰაერო სივრცეში განხორციელებულ არაკომერციულ ექსპლუატაციაზე, ასევე, საქართველოს სამოქალაქო სხ–ის სახელმწიფო რეგისტრირებული ძრავიანი არაკომპლექსური თვითმფრინავისა და შვეულმფრენის მიერ სხვა სახელმწიფოს საჰაერო სივრცეში განხორციელებულ არაკომერციულ საფრენოსნო ექსპლუატაციაზე. წესის მოქმედება არ ვრცელდება ძრავიანი კომპლექსური სხ–ის გამოყენებით განხორციელებულ არაკომერციულ ექსპლუატაციაზე.

- **პარაპლანით ფრენის რეგულირების განმახორციელებელი იურიდიული პირის ზედამხედველობის, პარაპლანით ფრენის უსაფრთხოების, საფრენი ადგილისა და საფრენი ადგილის ოპერატორის სერტიფიცირების, პარაპლანის მფრინავის მოწმობის გაცემის, პარაპლანისა და მისი აღჭურვილობის ვარგისობის დადგენისა და პარაპლანის მფრინავის დაზღვევის წესი** (სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 30 აგვისტოს N165 ბრძანება) საქართველოში ფრენების უსაფრთხოების, ადამიანების

სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით იქნა მიღებული. ნორმატიული აქტი ადგენს ფრენის უსაფრთხოებასთან, სასტარტო მოედნის მოწყობასთან, მფრინავის კომპეტენციის დადასტურებასთან, საფრენი აპარატისა და აღჭურვილობის ვარგისიანობასთან და ამ სფეროს ზედამხედველობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით, წესი ასევე ითვალისწინებს მგზავრისა და მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევის მოთხოვნებს.

წესის მიხედვით, პარაპლანების ოპერატორების სერტიფიცირებას, საფრენი ლოკაციების საფრენად ვარგისიანობის დასკვნის გაცემას, მფრინავების კომპეტენციის დადასტურებას და პარაპლანის ვარგისიანობის შემოწმებას „საქართველოს პარაგლაიდინგის ფედერაცია“ ახორციელებს, ხოლო ფედერაციის საქმიანობის ზედამხედველობას, მის მიერ მოთხოვნების დაცვასა და უფლებამოსილებების განხორციელებაზე კონტროლს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო უზრუნველყოფს.

ნორმატიული აქტის მიხედვით, პარაპლანით კომერციული ფრენები შესაძლებელია მხოლოდ საფრენად ვარგის ლოკაციაზე და გამოყოფილ საფრენ არეალში. ამასთანავე, პარაპლანით არაკომერციული ფრენები დასაშვებია ფედერაციასთან შეთანხმებით, მხოლოდ შესაბამისად გამოყოფილ საჰაერო სივრცეში. ახალი წესის შესაბამისად, საფრენად დაიშვებიან მხოლოდ ის მფრინავები, რომელთაც აქვთ ფრენის შესაბამისი კომპეტენცია/კატეგორია ანუ ჩაბარებული აქვთ შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული გამოცდა, რომლის შედეგადაც მიიღებენ ერთწლიან ან სამწლიან ლიცენზიებს. ოპერატორები ვალდებულნი არიან დაიცვან პარაპლანით ფრენის წარმოების წესები, ზედამხედველობა გაუწიონ ფრენების წარმოებას იმ საფრენ ლოკაციაზე, რომელზეც მოიპოვეს სერტიფიკატი.

წესის თანახმად, ფედერაციის ზედამხედველობის ფარგლებში, სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო უფლებამოსილია, გამოავლინოს მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები და განუსაზღვროს ფედერაციას ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრის გონივრული ვადა. აღნიშნული წესების შესრულების კონტროლში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ასევე, ჩართულია შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვას.

- **საექსპლუატაციო მახასიათებლებზე დაფუძნებული ნავიგაციის წესი** (სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს 2023 წლის 12 აპრილის №67 ბრძანება) მიღებულ იქნა ევროკავშირის (EU)№1048/2018 რეგულაციის მოთხოვნების გათვალისწინებით და ადგენს საჰაერო სივრცის გამოყენების მოთხოვნებს და საექსპლუატაციო მახასიათებლებზე დაფუძნებულ ნავიგაციის (PBN) პროცედურებს. საექსპლუატაციო მახასიათებლებზე დაფუძნებული ნავიგაცია (PBN) წარმოადგენს ზონალურ ნაოსნობას, რომლის დანერგვა: გაზრდის საქართველოს საჰაერო სივრცის გამტარუნარიანობას; ხელს შეუწყობს საჰაერო სივრცის უსაფრთხოების დონის შემდგომ ზრდას; ხელს შეუწყობს საჰაერო ხომალდების ფრენის დროის შემცირებას ოპტიმალური ფრენის მარშრუტების დანერგვით, რასაც შედეგად მოჰყვება საწვავის დაზოგვა, ხმაურისა და ნახშირორჟანგის ემისიების შემცირება, ასევე, გარემოს დაცვის დონის ამაღლება; შეამცირებს ავიაკომპანიებისთვის საფრენი მანძილს და მათი კუთვნილი საჰაერო ხომალდებისთვის ჰაერში შეყოვნების დროს; შეამცირებს საჰაერო მოძრაობის მეთვალყურეებისა და პილოტების სამუშაო დატვირთვას; შეამცირებს მიწისზედა ინფრასტრუქტურაზე დაფუძნებული მარშრუტებისა და პროცედურების უზრუნველყოფის ხარჯებს; გაზრდის აეროპორტებში დასაფრენად შესვლის ოპტიმალური ტრაექტორიების შერჩევის შესაძლებლობებს; ხელს შეუწყობს საჰაერო მოძრაობის ნაკადების განვითარებას უფრო ზუსტი დასაფრენად შესვლის, გაფრენისა და მოფრენის მარშრუტების დანერგვით; გაზრდის რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში საჰაერო ხომალდების აეროპორტებში აფრენა/დაფრენის შესაძლებლობებს. ერთიანი ევროპული ცის საჰაერო მოძრაობის ორგანიზების გენერალური გეგმის შესაბამისად, PBN-ის დანერგვა სახელმწიფოების მიერ ეტაპობრივად ხორციელდება, ხოლო მის ექსკლუზიურად გამოყენებაზე ქვეყნები 2030 წლიდან უნდა გადავიდნენ. სამგზავრო ადგილის მქონე ან კორპორატიული ავიაციის ექსპლუატაციაში ჩართულ თვითმფრინავზე.

- ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის რეგულაციებთან / ჩიკაგოს კონვენციის დანართებთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით, ცვლილებები შევიდა შემდეგ წესებში:

  - „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 16 ივნისის N98 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ (EU REG 1008/2008 რეგულაციის შესაბამისად);

  - “სპეციალური ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ” სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 31 მარტის N70 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ (EU REG 965/2012 რეგულაციის შესაბამისად);



- საერთო დანიშნულების ავიაციის მიზნებისთვის საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ (EU REG 965/2012 Part–NCO რეგულაციის შესაბამისად);

- „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტოს №150 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (ევროპული რეგულაციის ((EU) No 1178/2011 შესაბამისად);

- „უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემების ექსპლუატაციის წესის“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 25 სექტემბრის №156 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (EU REG 2019/947, 2019/945 რეგულაციების შესაბამისად);

- „საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის №205 ბრძანებაში ცვლილების შეტანიხ შესახებ (ICAO-ს მე-7 დანართში შესული ცვლილების შესაბამისად).

სერტიფიცირება / რეგისტრაცია

საქართველოში, სამოქალაქო ავიაციის სფეროში სერტიფიცირების წესებს ადგენს და სერტიფიცირებას ახორციელებს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო. სერტიფიცირებას ექვემდებარება ყველა ავიასაწარმო, რომელიც ჩართულია საავიაციო გადაყვანა-გადაზიდვებში – ავიაკომპანია, აეროდრომი, სააერნაონსო მომსახურების საწარმო, საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების საწარმო, საავიაციო სასწავლო დაწესებულება, ავიასაწვავგამმართველი საწარმო და ა.შ. სერტიფიცირება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ კონვენციის და მისი დანართების შესაბამისად. ამასთან, ევროკავშირთან ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში, სააგენტო განაგრძობს ეროვნული საავიაციო კანონმდებლობის დაახლოვებას ევროპულ სტანდარტებთან, რაც ეტაპობრივად ასახვას ჰპოვებს უწყების მიერ ჩატარებულ სერტიფიცირების პროცესებზეც.

- 2023 წელს, საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტების სერტიფიცირების კუთხით განხორციელდა:

  საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატების მოქმედების ვადის გაგრძელება - 10 (შპს “საქართველოს ავიახაზები“; შპს „თბილისი ეარვეისი“; შპს „იზი ჩარტერი“; შპს „ავიაკოპტერი“; შპს „აირზენა“; შპს „თი სი ეი“; შპს „ავიაკომპანია ჯეო სქაი“; შპს „კამექს ეარლაინს“; შპს „ჯორჯიან ეარვეისი“; შპს „აერო ექსპედიშენ“).

  საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტის სერტიფიკატების გაუქმება - 1 (შპს „აკ-ეარ ჯორჯია“);

  პირველადი სერტიფიცირების მიმდინარე პროცესი (შეჩერებული) - 1;

  ცვლილება საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატში -1;

  საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №1 დანართში საჰაერო ხომალდის შეტანა -8;

  საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №1 დანართიდან საჰაერო ხომალდის ამოღება - 5;

საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის N1 დანართში/საექსპლუატაციო სპეციფიკაციებში ცვლილებების შეტანა -9;

საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №2 დანართის გაცემა - 8;

საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №2 დანართის მოქმედების ვადის გაგრძელება - 1;

საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №2 დანართის გაუქმება - 5;

წინასასერტიფიკაციო შეხვედრა -1.

- 2023 წელს, დარეგისტრირდა და ფრენის ვარგისობის სერტიფიკატი გაიცა 13 ერთეულ საჰაერო ხომალდზე (ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://gcaa.ge/civil-aircraft-register/).

- 2023 წელს განხორციელდა ფრენის იმიტაციის საწვრთნელი მოწყობილობის (საწაფის) სერტიფიცირება (№GE.FSTD.001 (FNPT II (MEP) / Generic Multi-Engine Piston Aeroplane). განმცხადებელის, შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ მოთხოვნის საფუძველზე. სააგენტოს მხრიდან გაიცა ფრენისა და სანავიგაციო პროცედურების დანადგარის (FNPT) სერტიფიკატი.

- 2023 წელს, ავიაციის სააგენტომ „საქაერონავიგაციის“ საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის სასწავლო დაწესებულებად სერტიფიცირება ევროპული მოთხოვნების შესაბამისად განახორციელა. სერტიფიცირება საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის/მეთვალყურე-შეგირდის და მათი სასწავლო დაწესებულებების სერტიფიცირების წესის შესაბამისად განხორციელდა, რომელიც უწყებამ ევროკავშირის N2015/340 რეგულაციის მიხედვით 2021 წელს მიიღო. საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის სასწავლო დაწესებულების სერტიფიკატი უფლებას ანიჭებს „საქაერონავიგაციას“ განახორციელოს ავიამეთვალყურეთა სამეთვალყურეო პუნქტზე მომზადება და კვალიფიკაციის შენარჩუნების/აღდგენის სწავლებები. სასწავლო დაწესებულების ევროპული სტანდარტების შესაბამისად სერტიფიცირება გაზრდის საჰაერო მოძრაობის უსაფრთხოებას ქვეყანაში და გააუმჯობესებს ავიამეთვალყურეთა სწავლების ხარისხს და პირობებს. ამასთან, წარმატებული სერტიფიცირება ქმნის მყარ საფუძველს ევროკავშირის სახელმწიფოებთან საჰაერო მოძრაობის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისათვის.

- სამოქალაქო აეროდრომის/ვერტოდრომის სერტიფიცირებისა და საფრენი მოედნების რეგისტრაციის და აღრიცხვის ახალი წესის მოთხოვნების შესაბამისად, შეიცვალა შემდეგი აეროდრომების სერტიფიკატები: შპს "ბათუმის აეროპორტი" (31.01.2023); შპს "ბათუმის აეროპორტი" (18.05.2023); შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი" - თელავი „მიმინო" (12.10.2023).

- სათანადო განაცხადისა თანდართული მასალის განხილვის საფუძველზე განხორციელდა სხვა ქვეყნის საავიაციო ხელისუფლების მიერ სერტიფიცირებული 26 სასწავლო დაწესებულების აღიარება. საერნაოსნო მომსახურების კუთხით აღიარებულ იქნა საჰაერო მოძრაობის მეთვალყურეთა 1 სასწავლო დაწესებულება.

- 2023 წლის განმავლობაში, დასერტიფიცირდა შემდეგი საწვავ-გამმართველი საწარმოები: შპს გუდაური ჰელისკიინგ - გუდაური და შპს ატფ - თბილისი.

- 2023 წელს განხორციელდა ქ. ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტების ტერიტორიაზე, შპს „საქაერონავიგაციის" ობიექტებზე დამონტაჟებული კომპანია „Indra Air Traffic Inc"-ის მიერ წარმოებული ულტრამოკლე ტალღოვანი წრიული რადიოშუქურას, მანძილმზომი ხელსაწყოს და მათი შემადგენელი კომპონენტების აღიარება. ასევე განხორციელდა ქ. ბათუმის ალექსანდე ქართველიშვილის სახელობის და ქ. ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტების ტერიტორიაზე, შპს „საქაერონავიგაციის" ობიექტებზე დამონტაჟებული "SITTI SPA"-ს წარმოების ხმოვანი საკომუნიკაციო სისტემა „MULTIFONO M800IP/281.1598"-ს და მისი შემადგენელი კომპონენტების აღიარება.

- 2023 წელს, დარეგისტრირდა ერთი საფრენი მოედანი: შპს თი სი ეი - ლიხაური (27.02.2023). ორი საფრენი მოედნის რეგისტრაციის პროცესი შეჩერდა შესაბამისი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის გამო.

- 2023 წელს, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უპილოტო საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტების რეგისტრაციის ონლაინ პლატფორმაზე - https://uas.gov.ge/ დარეგისტრირდა 195-მდე უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემების ექსპლუატანტი. ჯამში, 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, პლატფორმაზე რეგისტირებული

ოპერატორების რაოდენობა შეადგენდა 820 უპილოტო საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტს. მოხდა სპეციფიკურ კატეგორიაში ექსპლუატაციის თანხმობის გაცემა უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემების შემდეგი 3 ექსპლუატანტისთვის:

- შპს მაქსდრონი (აგრო)
- შპს დრონი პლიუსი (აგრო)
- შპს აბსოლუტ სერვისი (ლიდარი – ქუთაისის აეროპორტი)

ინსპექტირება / ზედამხედველობა

საქართველოში სამოქალაქო ავიაციის საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო. ავიასაწარმოების საქმიანობის ინსპექტირებას ახორციელებენ სააგენტოს ფრენის უსაფრთხოების ან/და SAFA-ს ინსპექტორები, რომელთა უფლებამოსილებები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია კანონმდებლობით. საინსპექციო საქმიანობის მიზანია ინსპექტირების ობიექტისა და მისი საქმიანობის შესაბამისობის დადგენა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, აგრეთვე ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის შენარჩუნება და/ან შემდგომი გაუჯობესება. სააგენტო ადგენს ინსპექტირების პროგრამას ყველა საზედამხედველო მიმართულებით, ავიასაწარმოების სპეციფიკის, საქმიანობის კომპლექსურობის, წინა სერტიფიცირების ან/და საზედამხედველო საქმიანობის შედეგების გათვალისწინებით და ახორციელებს ინსპექტირებას აღნიშნული პროგრამის შესაბამისად.

- 2023 წელს, „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტების (ავიაკომპანიების) შემოწმებების 2023 წლის გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, განხორციელდა: საბაზო ობიექტების წინასასერტიფიკაციო ინსპექტირებები (11); საბაზო ობეიქტების გეგმიური ინსპექტირებები (31); საჰაერო ხომალდის ბაქანზე ინსპექტირებები (54); უფროსი პილოტ-ინსტრუქტრის კვალიფიკაციის მინიჭება (6 ავიასპეციალისტი); უფროსი პილოტ-ინსტრუქტრის კვალიფიკაციის გაგრძელება (8 ავიასპეციალისტი); პილოტების საკვალიფიკაციო შემოწმებები საწაფზე (4); მარშრუტზე ინსპექტირება (3).

- 2023 წელს, სააგენტოს აეროდრომებისა და აეროპორტების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა აეროდრომების ექსპლუატანტების 7 გეგმიური და საწვავგასამართი საწარმოების 5 გეგმიური შემოწმება.

- 2023 წლის განმავლობაში, სასწავლო დაწესებულებების სერტიფიცირების და ზედამხედველობის ფარგლებში, ჩატარდა გეგმიური და და არაგეგმიური ინსპექტირებები. წლიური შემოწმების ფარგლებში, განხორციელდა 2 გეგმიური შემოწმება და 1 არაგეგმიური შემოწმება. სათანადო განაცხადებისა და თანდართული მასალების განხილვის საფუძველზე განხორციელდა სხვა ქვეყნის საავიაციო ხელისუფლების მიერ სერტიფიცირებული 26 სასწავლო დაწესებულების/საწაფის აღიარება, აგრეთვე აღიარებული იქნა შესაბამისი სასწავლო პროგრამები. 2023 წლის განმავლობაში,

შესაბამისი განაცხადებისა და შუამდგომლობის საფუძველზე, გაიცა 18 მასწავლებლის მოწმობა.

- 2023 წელს, სააერნაოსნო მომსახურების ზედამხედველობის 2023-2024 წლების გეგმის შესაბამისად, განხორციელდა 4 ინსპექტირება (შპს „საქაერონავიგაციის“ თბილისის ობიექტი; შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ თბილისის ობიექტი; შპს „საქაერონავიგაციის“ ქუთაისის და ბათუმის ობიექტები; შპს „საქაერონავიგაციის“ თბილისის ობიექტი). ჩატარდა ასევე, ერთი არაგეგმიური ინსპექტირება (შპს „საქაერონავიგაციის“ ამბროლაურის ობიექტი).

- 2023 წლის განმავლობაში გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტმა, განახორციელა როგორც გეგმიური, ისე არაგეგმიური ინსპექტირებები სახიფათო ტვირთის გადაზიდვის კუთხით (სულ 88 ინსპექტირება). ინსპექტირებები განხორციელდა როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე საზღვარგარეთ. შემოწმდნენ საქართველოში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მფლობელები, საავიაციო სატვირთო ტერმინალები, დანიშნული საფოსტო ოპერატორი, აეროპორტების ოპერატორები, ტვირთგამგზავნები და უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავიაგადამზიდველები (საჰაერო ხომალდის ბაქანზე შემოწმება). ამასთან, განხორციელდა საქართველოს ავიაკომპანიების საჰაერო ხომალდების რეგულარული და არაგეგმიური შემოწმება ბაქანზე - სულ 29 ინსპექტირება.

- ინსპექტირებების გეგმის შესაბამისად, განხორციელდა სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული 59 ერთეული სხვადასხვა ტიპის, წონის და დანიშნულების საჰაერო ხომალდის და ტექნიკური მომსახურების საწარმოს გეგმიური და სასერტიფიკაციო შემოწმებები. გეგმიური შემოწმებები ხორციელდება იმ საჰაერო ხომალდებზე რომლებსაც გააჩნიათ მოქმედი საფრენად ვარგისობის სერტიფიკატი და ხდება მისი საფრენოსო ექსპლუატაცია.

- ფრენის ვარგისობის კუთხით, ზედამხედველობა განხორციელდა საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების 10 საწარმოზე, საფრენად ვარგისობის მართვის 13 საწარმოზე, საფრენად ვარგისობის 4 კომბინირებულ საწარმოზე, საჰაერო ხომალდის 15 ექსპლუატანტზე და 2 სასწავლო დაწესებულებაზე.

- რისკების შეფასების პროცედურის გაანგარიშებული შემოწმების გრაფიკის შესაბამისად ჩატარდა საავიაშიო უშიშროების ინსპექტირებები საქართველოს აეროპორტებში, სატვირთო ტერმინალებში, საწვავგასამართ საწარმოებში, ავიაკომპანიებში, სააერნაოსნო მომსახურების საწარმოსა და კვების ობიექტებში;

- ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოსთან (EASA) გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში, ჩატარდა უცხო ქვეყნის საჰაერო ხომალდების ბაქანზე შემოწმების (EU Ramp Inspection Programme SAFA) წლიური გეგმით გათვალისწინებული ინსპექტირებები (24);

- განხორციელდა შპს „პირველი ავიასამედიცინო ცენტრის“ ორი გეგმიური შემოწმება. ავიასამედიცინო ექსპერტებზე ზედამხედველობა მიმდინარეობდა მუდმივად, მათ მიერ გაცემული სამედიცინო სერტიფიკატის შესაბამისი დოკუმენტაციის, შემოწმების საფუძველზე.

- განხორციელდა პარაპლანით ფრენის რეგულირების განმახორციელებელი იურიდიული პირის საქმიანობის ზედამხედველობა (1);

- განხორციელდა მსუბუქი უპილოტო საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტის სერტიფიკატი LUC მფლობელის ინსპექტირება (2).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა

2023 წლის განმავლობაში, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანამშრომლების მიერ შედგენილ იქნა სამართალდარღვევათა 7 ოქმი. ავიასაწარმოების / პერსონალის დაჯარიმება მოხდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემდეგ დარღვევებზე:

- სამოქალაქო ავიაციის დარგში მოქმედი ნორმატიული აქტების დარღვევა (5);
- სამოქალაქო საჰაერო ხომალდით საქართველოს საჰაერო სივრცეში ფრენის წესის ან საჰაერო მოძრაობის მომსახურების წესის დარღვევა (1);
- სამოქალაქო საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციის წესების დარღვევა (1).



საავიაციო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა

2022 წელს, სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ საავიაციო უსაფრთხოების 2022-2024 წლების ეროვნული გეგმა (NASP of Georgia 2022-2024) დაამტკიცა. აღსანიშნავია, რომ ფრენების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სამოქმედო დოკუმენტი პირველად იქნა შემუშავებული საქართველოში. ფრენის უსაფრთხოების ეროვნული გეგმა (NASP) არის დაგეგმარების მთავარი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს საქართველოს სტრატეგიულ მიმართულებას საავიაციო უსაფრთხოების მართვის კუთხით. დოკუმენტში ჩამოთვლილი უსაფრთხოების რისკების პრევენციისაკენ მიმართულ ქმედებები ხელს უწყობს უსაფრთხოების გაუმჯობესებას როგორც ეროვნულ, ისე ფართო რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე. საავიაციო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა შემუშავებულია უსაფრთხოების იმ საერთაშორისო მიზნების, ამოცანების და მაღალი რისკის კატეგორიების (HRC) გამოყენებით, რომლებიც განსაზღვრულია როგორც გლობალური საავიაციო უსაფრთხოების გეგმაში (GASP), ასევე, ევროპულ/ჩრდილო ატლანტიკურ რეგიონალურ საავიაციო უსაფრთხოების გეგმაში (EUR/NAT RASP).

დოკუმენტი მოიცავს საავიაციო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკვანძო ასპექტებს, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, როგორც სფეროს ზედამხედველი უწყების ხედვას, პოლიტიკას და ექსპერტულ ანალიზს, საავიაციო უსაფრთხოების ეროვნულ მიზნებს, ამოცანებს, ინდიკატორებს, ასევე ფრენის უსაფრთხოების შემდგომი გაუმჯობესების / გაძლიერების ინიციატივებსა და ქმედებებს, ამ ქმედებების იმპლემენტაციის მონიტორინგის მექანიზმებს, იდენტიფიცირებულ უსაფრთხოების რისკებს, მათი შემცირებისკენ მიმართულ ღონისძიებების კომპლექსს და სხვა.

2023 წლის აპრილში, სააგენტომ გამოსცა განახლებული, 2023-2025 წლების გეგმა, რომლის ქართულენოვანი ვერსია ხელმისაწვდომია სააგენტოს ვებ-გვერდის შემდეგ ბმულზე: https://gcaa.ge/guidance-materials/



საავიაციო ბაზარზე დაშვება, საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები ციფრებში და საჰაერო მიმოსვლის აღდგენის დინამიკა საქართველოში

2023 წლის განმავლობაში, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, უცხოური ავიაკომპანიები დაშვებულ იქნენ 12 საჰაერო ხაზზე. ასევე განხორციელდა 4 ქართული ავიაკომპანიის 17 დანიშვნა. 2023 წელს, სულ გაიცა 3166 რეგულარული და არარეგულარული ფრენის ნებართვა და 235 თანხმობა უცხო ქვეყნის კომპანიის მიერ საქართველოს შიგნით ფრენებისათვის.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ დაჯამებული მონაცემების მიხედვით, 2023 წელს, საქართველოს აეროპორტები რეგულარული და არარეგულარული რეისებით 6 013 995 მგზავრს მოემსახურა, რაც მგზავრთნაკადის რეკორდული მაჩვენებელია ქვეყნისთვის. 2023 წელს მიღებული მგზავრების რაოდენობა 35%-ით მეტია 2022 წლის ანალოგიურ პერიოდში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობაზე და 15%-ით აღემატება 2019 წელს დაფიქსირებული მგზავრთნაკადის მაჩვენებელს.

გასულ წელს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 3 694 052 მგზავრს მოემსახურა. ზრდა 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 23%-ს შეადგენს. ამასთან, მგზავრთნაკადის აღნიშნული მაჩვენებლით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 100%-ით დაუბრუნდა 2019 წელს დაფიქსირებული მგზავრების რაოდენობრივ მაჩვენებელს (ზრდა 0.05%-ს შეადგენს).

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მეშვეობით გადაყვანილ იქნა 1 671 198 მგზავრი. მგზავრთნაკადის ზრდა 2022 წელთან შედარებით 110%-ს შეადგენს. 2019 წელთან შედარებით კი, ქუთაისის აეროპორტის 91%-ით მეტ მგზავრს მოემსახურა.

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი 621 514 მგზავრს მოემსახურა. ზრდა 2022 წელთან შედარებით 0.75%-ია, ხოლო 2019 წელთან მიმართებაში, მგზავრთნაკადის აღდგენის მაჩვენებელი 99.58%-ს შეადგენს.

რაც შეეხებათ ადგილობრივი დანიშნულების აეროპორტებს, მესტია 2023 წლის დაჯამებული მონაცემებით 10 217 მგზავრს მოემსახურა, რაც 9%-ით მეტია ვიდრე 2022 წელს გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა და 18%-ით აღემატება პანდემიამდე, 2019 წელს მიღებული მგზავრების

რაოდენობას. ამბროლაურის აეროპორტმა განვლილ წელს 2 225 მგზავრი მიიღო, რაც 16%-ით ჩამორჩება 2022 წელს მომსახურებული მგზავრების რაოდენობას და 13%-ით აღემატება 2019 წელს მიღებული მგზავრების რაოდენობას. 2019 წელთან შედარებით, ნატახტარის აეროპორტში მგზავრთნაკადი 65%-ით გაიზარდა, ხოლო 2022 წელთან მიმართებაში კლება 16%-ს შეადგენს. აეროპორტი 14 789 მგზავრს მოემსახურა.

2023 წელს, საქართველოს აეროპორტებში ჯამში 26 290 რეისი განხორციელდა. აქედან რეგულარული რეისების რაოდენობა შეადგენდა 21 280-ს, ხოლო ჩარტერების - 5 010-ს. 2022 წელს განხორციელებული ფრენების რაოდენობასთან შედარებით, რეისების რაოდენობა 23%-ით გაიზარდა, ხოლო 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში, შესრულებული ფრენების ზრდის მაჩვენებელი 8%-ს შეადგენს.

2022 წელთან შედარებით, საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენების მაჩვენებელი 58%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით 65%-ით გაიზარდა. სულ, გასულ წელს 232 491 ერთეული გადაფრენა დაფიქსირდა. 2023 წელს, საჰაერო გზით გადაზიდული ტვირთების მოცულობამ 19 168. 547 ტონა შეადგინა. 2022 წელთან შედარებით, ტვირთბრუნვა 6%-ით არის გაზრდილი.

2023 წელს გადაყვანილი მგზავრების რაოდენობის მიხედვით, საქართველოს საავიაციო ბაზარზე Wizz Air-ი ლიდერობს. ავიაკომპანია ბაზრის 21%-იან წილს ფლობს და 1 270 737 მგზავრი ყავს გადაყვანილი. რეგულარული და ჩარტერული რეისებით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობის/პროცენტული წილის მიხედვით პირველი ათეული ასე გამოიყურება:

1. Wizz Air Hungary – 21% (1 270 737 მგზავრი);

2. Turkish Airlines – 11% (627 078 მგზავრი);

3. Pegasus – 7% (423 655 მგზავრი);

4. Georgian Airways – 5% (326 873 მგზავრი);

5. Azerbaijan Airlines – 5% (324 044 მგზავრი);

6. Fly Dubai – 4% (218 433 მგზავრი);

7. El Al Israel Airlines – 3% (202 469 მგზავრი);

8. Belavia – 3% (184 117 მგზავრი);

9. Israir – 3% (182 941 მგზავრი);

10. Air Arabia – 3% (155 303 მგზავრი).

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს აეროპორტებში 43 ავიაკომპანია 89 მიმართულებით ოპერირებდა. 2023 წელს, საავიაციო ბაზარზე შემოვიდნენ შემდეგი ახალი ავიაკომპანიები: Wizz Air Malta, IndiGo, SunExpress, Iraqi Airways, Air Centrum, Flyone, Azimuth Airlines, Red Wings და Armenian Airlines.

2023 წლის განმავლობაში, ფრენები დაიწყო ისეთი ახალი მიმართულებებით, როგორიცაა: ქუთაისი-ჰამბურგი-ქუთაისი; ქუთაისი-მადრიდი-ქუთაისი; ქუთაისი-ფრანკფურტი-ქუთაისი; ქუთაისი-ბრიუსელი-ქუთაისი; ქუთაისი-პოზნანი-ქუთაისი; თბილისი-დელი-თბილისი; თბილისი-ერბილი-თბილისი და სხვა.

2023 წლის საჰაერო მიმოსვლის დაჯამებული სტატისტიკა ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://gcaa.ge/statistics/

ავიაკომპანიების ფინანსური მდგრადობის და საიმედოობის შეფასება

2017 წლის 1 ივლისიდან, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო მოქმედი ავიაკომპანიების ფინანსური მდგრადობისა და საიმედოობის მონიტორინგს ახორციელებს. საქართველოში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტი უფლებამოსილია კომერციული მიზნით განახორციელოს მგზავრების, ბარგის, ტვირთის ან/და ფოსტის საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვა, თუ მას აქვს საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობა.

2023 წლის განმავლობაში, სააგენტო ახორციელებდა საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტების მიერ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის შესრულების ფინანსური შესაძლებლობების შეფასებას, ანალიზს და მუდმივ ზედამხედველობას. აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში:

- საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების მოწმობა გაიცა ერთ ავიაკომპანიაზე. („ბ“ კატეგორიის მოწმობა);
- საჰაერო-გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელმა საწარმოებმა სააგენტოში წარმოადგინეს 2022 წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგება;
- ეკონომიკური მდგომარეობის და განსახორციელებელი ცვლილებების მიზანშეწონილობის შესახებ ანგარიში მომზადდა და შესაბამისი ცვლილებები შეთანხმდა 2 ავიაკომპანიასთან.
- მუდმივი ზედამხედველობის ფარგლებში, შემოწმდა 9 ავიაკომპანიის ეკონომიკური მდგომარეობა და მომზადდა 13 ანგარიში;
- მიმდინარეობდა მუშაობა საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის გაცემის შიდა პროცედურის და თანმდევი კითხვარების განახლებაზე.

ავიასპეციალისტების სერტიფიცირება

პირები, რომელნიც ჩართულნი არიან საჰაერო ხომალდების ექპლუატაციის, მომსახურების და/ან საჰაერო მოძრაობის მომსახურების პროცესში ექვემდებარებიან სავალდებულო სერტიფიცირებას. საქართველოში ავიასპეციალისტების სერტიფიცირებას (მოწმობების გაცემას) და მათ საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.

- 2023 წლის განმავლობაში, მიმდინარეობდა ავიასპეციალისტებზე მოწმობების გაცემა, გამოცვლა, მოქმედების ვადის გაგრძელება და მოწმობაში საკვალიფიკაციო აღნიშვნების შესახებ ჩანაწერის გაკეთება. კერძოდ, სააგენტომ უზრუნველყო:
  FSTD კუთხით:
  ავიასპეციალისტის მოწმობის გაცემა - 34;
  ავიასპეციალისტის მოწმობის ვადის გაგრძელება - 311;
  ავიასპეციალისტის მოწმობაში საკვალიფიკაციო აღნიშვნა - 361;
  უცხო ქვეყნის ავიასპეციალისტის მოწმობის აღიარება - 130;
  ANS კუთხით:
  ავიამეთვალყურეთა მოწმობების გაცემა - 125;
  მეთვალყურე-შეგირდის მოწმობის გაცემა - 16;
  AIR კუთხით:
  საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სპეციალისტის მოწმობის გაცემა - 46.

- 2023 წელს, სააგენტოში გაგრძელდა (პროცესი დაიწყო 2022 წელს) თეორიული გამოცდების ჩატარება საფრენონსო ეკიპაჟის წევრებზე ავიასპეციალისტის მოწმობების და IR ოსტატობის პირველადი გაცემის, ასევე სხვა ქვეყნის მოწმობის პირველადი აღიარების მიზნით.

  საფრენოსნო ეკიპაჟის წევრებზე (CPL, ATPL) მოწმობის პირველად გაცემის და სფწ ოსტატობის მოპოვების მიზნით განხორციელებული თეორიული გამოცდები: IR – 81; CPL – 0; ATPL – 151; საფრენოსნო ეკიპაჟის წევრებზე (CPL, ATPL) მოწმობის აღიარების მიზნით განხორციელებული თეორიული გამოცდები - 173; საერთო ჯამში ჩატარდა 405 გამოცდა.

- 2023 წელს, დაიწყო მუშაობა ავიასპეციალისტებისა და სასწავლო დაწესებულებების მონაცემთა ახალი ელექტრონული შიდა ბაზის/პროგრამის შემუშავებაზე (PEL DataBase). ელ. პროგრამის შემუშავების მიზანია ავიასპეციალისტთა მოწმობის გაცემის პროცესის ოპტიმიზაცია, ადამიანური და დროითი რესურსების დაზოგვა, ელექტრონული დოკუმენტების სისტემატიზაცია, სააგენტოს მომსახურების ეფექტურობის და ეფექტიანობის გაზრდა.

მგზავრთა უფლებების დაცვა

ფრენების უსაფრთხოებასა და უშიშროებაზე ზედამხედველობასთან ერთად, სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას მგზავრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა წარმოადგენს. დღეისათვის, უწყების მიერ დანერგილია სრული სპექტრი რეგულაციებისა, რომლებიც ადგენენ ევროპული სტანდარტების შესაბამის კომპენსაციებს რეისის გაუქმების შემთხვევაში, შშმ პირების უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ბარგის დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში. ამასთან 2017 წლიდან, ავიაკომპანიებს დაუწესდათ ევროპული სტანდარტების შესაბამისი სადაზღვევო მოთხოვნები.

- 2023 წლის განმავლობაში, სააგენტო აქტიურად იყო ჩართული მგზავრთა უფლებების დაცვის ზედამხედველობით საქმიანობაში. გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტის მიერ, განხილულ იქნა 130-ზე მეტი საჩივარი, რომლებიც შემოვიდა მგზავრებისა და შუამავალი ორგანიზაციების მხრიდან, ფრენის დაგვიანების, ფრენის გაუქმების და/ან ფრენაზე უარის თქმის თაობაზე.

- 2023 წლის განმავლობაში, შშმ პირების უფლებებთან დაკავშირებით მომხმარებელთა მხრიდან შემოვიდა 1 საჩივარი. სააგენტომ განხორციელა კომუნიკაცია შესაბამისი აეროპორტის ექსპლუატანტთან, რომელმაც განახორციელა შშმ პირებისთვის განკუთვნილი სპეციალური ტიპის სავარძლების დამატებით შეძენა.



აეროდრომის დაცვის არეში (აეროდრომის რაიონში) ობიექტების დასაშვები სიმაღლის შეთანხმება

აეროდრომის დაცვის არეებში ფრენების უსაფრთხოების არსებული სტანდარტების შემდგომი გაუმჯობესების და საავიაციო დაბრკოლებათა კონტროლის მექანიზმის სრულყოფის მიზნით, 2023 წელს, შეიცვალა სამოქალაქო აეროდრომების დაცვის არეებში შენობა-ნაგებობის დასაშვები სიმაღლეების შეთანხმების მოდელი. კერძოდ, საქართველოს საჰაერო კოდექსში 2023 წლის ივნისში შესული ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო აეროდრომის/ვერტოდრომის დაცვის არეებში შენობა-ნაგებობის დასაშვები სიმაღლეების შეთანხმების უფლებამოსილება მიენიჭა სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს. მანამდე, აეროდრომის რაიონში მდებარე საპროექტო ტერიტორიების სამშენებლოდ განვითარებისთვის საჭირო იყო შესაბამისი აეროდრომის ექსპლუატანტის (აეროპორტის ოპერატორი კომპანიის) თანხმობა.

აეროდრომის რაიონში ობიექტების (შენობა-ნაგებობების) დასაშვები სიმაღლეების გაანგარიშება ხდება სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 18 მაისის N111 ბრძანებით დამტკიცებული „სამოქალაქო აეროდრომის დაცვის არეს (აეროდრომის რაიონის) დადგენისა და ამ რაიონში ობიექტის დასაშვები სიმაღლის განსაზღვრის წესის“ შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის მე-14 დანართის (Aerodromes) მე-4 თავის მოთხოვნების მიხედვით.

ამასთან, დაინტერესებული პირებისთვის, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ვებ-გვერდზე შეიქმნა ახალ განყოფილება - https://gcaa.ge/aerodrome-safeguarding/, სადაც ხელმისაწვდომია ყველა საჭირო ინფორმაცია აეროდრომის/ვერტოდრომის დაცვის არეებში შენობა-ნაგებობის დასაშვები სიმაღლეების განსაზღვრისა და შეთანხმების პროცესთან დაკავშირებით.

2023 წლის განმავლობაში განხორციელდა დაახლოებით 200 მშენებლობის განცხადის განხილვა/შეთანხმება.

პერსონალის / ინსტრუქტორების / შემოწმების ოპერატორების სერტიფიცირება, საშვების გაცემა

- 2023 წლის განმავლობაში, გაიცა საწვავ-გამმართველი საწარმოს ტექნიკური პერსონალის 13 მოწმობა;
- განხორციელდა სახიფათო ტვირთების ინსტრუქტორების სერტიფიცირება და გაიცა შესაბამისი მოწმობა სამ ინსტრუქტორზე;
- გაიცა/გაგრძელდა 329 შემოწმების ოპერატორის სერტიფიკატი;
- გაიცა აეროპორტების კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში შესასვლელი პიროვნების და ავტროსატრანსპორტო საშუალებების მუდმივი საშვები (მათ შორის ეკიპაჟის წევრის 137 საშვი).

NOTAM-ების გამოცემა / ცვლილებები AIP-ში

2023 წლის განმავლობაში, სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ დამუშავდა და გაიცა დაახლოებით 100 NOTAM-ი. დამუშავდა და გაიცა ჰაერსანაოსნო ინფორმაციის კრებულის 3 ცვლილება.



საერთაშორისო ურთიერთობები და თანამშრომლობა

სამოქალაქო ავიაციის სფეროს წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საავიაციო ხელისუფლებებთან თანამშრომლობის გაღრმავების, ურთიერთკოორდინაციის გაუმჯობესების, გლობალურ და რეგიონალურ დონეზე მიმდინარე მნიშვნელოვან ცვლილებებზე მუდამ განახლებული ინფორმაციის ქონის, სხვადასხვა ტექნიკური მიმართულებით გამოცდილების მიღების და გაზიარების მიზნით, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, მისი სპეციალისტების სახით აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო საავიაციო აქტივობებში, პროექტებში, ექსპერტთა სამუშაო ჯგუფებსა თუ თემატურ შეხვედრებში. სააგენტო ხელს უწყობს თანშრომლების მაღალი დონის ჩართულობას ტექნიკური დახმარების პროექტებში, რომლის ფარგლებშიც სააგენტოს სპეციალისტები ეცნობიან წამყვანი ევროპული ქვეყნების გამოცდილებებს და თავის მხრივ დახმარებას უწევენ რეგიონის ქვეყნებს საქართველოს გამოცდილებების გაცნობის და პრაქტიკული ცოდნის გაზიარების კუთხით.

2023 წელს, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები და აქტივობები:

- *თებერვალი, 2023 წელი*
  რუმინეთის საავიაციო ხელისუფლების მიწვევით, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორი (მივლინების პერიოდში, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი) გივი დავითაშვილი ბუქარესტში იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები გაიმართა რუმინეთის და მოლდოვის რესპუბლიკის საავიაციო ხელისუფლებების, ასევე რუმინეთის ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პირველ პირებთან, სადაც მხარეებმა საავიაციო ხელისუფლებებს შორის, სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე ისაუბრეს.

- *თებერვალი, 2023 წელი*
  ევროპის სამოქალაქო ავიაციის კონფერენციისა (ECAC) და ICAO-ს ევროპისა და ჩრდილოეთ ატლანტიკური რეგიონალური ბიუროს ეგიდით, ქალაქ მილანში საავიაციო შემთხვევების მსხვერპლთა და მათი ოჯახების დახმარების შესახებ რეგიონალურ სემინარი გაიმართა. ღონისძიებაზე, ავიაკატასტროფის შედეგად დაღუპულთა ოჯახებისთვის სათანადო დახმარების გაწევის და გადარჩენილთა მხარდაჭერის მექანიზმები განიხილეს. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოდან სემინარის მუშაობაში მონაწილეობა



მიიღეს დირექტორის მოადგილემ ალექსანდრე გაჩეჩილაძემ და გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა ირაკლი ბაქრაძემ. სემინარზე მოისმინეს ქართული მხარის გამოცდილება მგზავრთა და მესამე პირთა უფლებების დაცვის კუთხით.

- *მარტი, 2023 წელი*

  ბრიუსელში, საქართველო - ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის მე-3 თემატური ჯგუფის - „ენერგეტიკა, გარემო, კლიმატი, ტრანსპორტი და სამოქალაქო დაცვა“ რიგით მე-8 სხდომა გაიმართა. შეხვედრის მიზანს, ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კუთხით საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის გაცნობა და მომავალში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაცვლა წარმოადგენდა. სხდომაზე, რომელსაც საქართველოს ეკონომიკისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების, ასევე ევროპის კომისიის ტრანსპორტისა და სხვა სექტორული დირექტორატების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, პრეზენტაციით წარსდგა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორი (ვიზიტის პერიოდში, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი) გივი დავითაშვილი. მან შეხვედრის მონაწილეებს საქართველოს, ევროკავშირს და მის წევრ სახელმწიფოებს შორის არსებული „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ შეთანხმების ფარგლებში გაწეული საქმიანობა გააცნო და ისაუბრა იმ პროგრესზე, რასაც საქართველოს საავიაციო ხელისუფლებამ მიაღწია ევროპული რეგულაციების საქართველოს საავიაციო კანონმდებლობაში ასახვის კუთხით.

- *მარტი-აპრილი, 2023 წელი*

  ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში და უზბეკეთის რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თხოვნის საფუძველზე, სააგენტოს აეროდრომებისა და აეროპორტების დეპარტამენტის წარმომადგენლის მიერ განხორციელდა პრაქტიკული სწავლება (OJT) უზბეკეთის საავიაციო ხელისუფლების სპეციალისტებისთვის, მათთვის ინსპექტორების კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით.

- *აპრილი, 2023 წელი*

  სააგენტოს მოწვევით, საქართველოში სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ევროპისა და ჩრდილოეთ ატლანტიკური რეგიონული ოფისის დირექტორი ნიკოლას რალო იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები შედგა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს



ხელმძღვანელ პირებთან. მხარეებმა საქართველოსა და ICAO-ს შორის ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები, ქვეყანაში სამოქალაქო ავიაციის დარგის განვითარების კუთხით არსებული მიღწევები და სამომავლო პერსპექტივები განიხილეს. ICAO-ს ევროპისა და ჩრდილოეთ ატლანტიკური რეგიონული ოფისის დირექტორმა დადებითად შეაფასა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობა საავიაციო უსაფრთხოებისა და უშიშროების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის კუთხით და ის პროგრესი რაც ქვეყანას აქვს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ბოლო აუდიტების შედეგების მიხედვით. ორმხრივი თანამშრომლობის ჭრილში, განსაკუთრებით ხაზი გაესვა სააგენტოს სპეციალისტების აქტიურ ჩართულობას იკაოს სხვადასხვა სამუშაო ფორმატებსა თუ ორგანიზაციის ეგიდით განხორციელებულ აქტივობებში, მათ შორის რეგიონის ქვეყნებისთვის გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით. სააგენტოს მიერ წარმოდგენილ იქნა პრეზენტაცია სააგენტოს როგორც სფეროს ზედამხედველი უწყების შესაძლებლობების გაძლიერების და ინსტიტუციონალური განვითარების კუთხით გადადგმულ ნაბიჯებზე, საავიაციო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის (NASP) ფარგლებში, ფრენების უსაფრთხოების გაუმჯობესების ღონისძიებებზე და სხვა მნიშვნელოვან აქტივობებზე. მხარეებმა ასევე ისაუბრეს საჰაერო მიმოსვლის აღდგენის კუთხით არსებულ დადებით დინამიკაზე და საავიაციო ბაზრის გამოწვევებზე პოსტ-პანდემიურ პირობებში. სტუმარმა უწყების წარმომადგენლებს გააცნო ICAO-ს სამომავლო გეგმები და ახალი პროექტები, რომლებიც უკავშირდება საავიაციო ხელისუფლებების მხარდაჭერას სხვადასხვა მიმართულებით. მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქართველო აქტიურად გააგრძელებს ჩართულობას ორგანიზაციის ეგიდით დაგეგმილ ღონისძიებებში. ნიკოლას რალომ ყურადღება გაამახვილა ავიაციის სფეროში ინოვაციური მიდგომების შემოტანის და თანამედროვე ციფრული გადაწყვეტების დანერგვის მნიშვნელობაზე. ამასთან მან ისაუბრა „მწვანე ავიაციის“ პერსპექტივებზე და მიესალმა იმ ფაქტს, რომ საქართველო ჩაერთო ICAO-ს ნახშირორჟანგის კომპენსირებისა და შემცირების სქემის (CORSIA) ეტაპობრივი დანერგვის პროცესში.

- *აპრილი, 2023 წელი*

  ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის (TAIEX) ევროკავშირის პროგრამის მხარდაჭერით, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში საერთო დანიშნულების ავიაციის ექსპლუატაციის სამართლებრივი რეგულირებისა და ზედამხედველობის საკითხებზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ოთხდღიანი სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, მსმენელები

გაეცნენ საფრანგეთში საერთო დანიშნულების ავიაციაში ჩართული სხვადასხვა ტიპის საჰაერო ხომალდების ოპერირების მოდელებს, მათ ექსპლუატაციაზე და საფრენად ვარგისობაზე ზედამხედველობის სტანდარტებს, ფრენის უსაფრთხოების გაუმჯობესების კუთხით შემუშავებულ მიდგომებს და საავიაციო ხელისუფლების მიერ ამ მიმართულებით დადგენილ პროცედურებს.

- *ივნისი, 2023 წელი*

  საქართველოს სააგენტოს ხელმძღვანელმა ICAO-ს ევროპისა და ჩრდილო-ატლანტიკური რეგიონის საავიაციო ხელისუფლებების დირექტორთა შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. შეხვედრაზე მხარეებმა ICAO-ს გლობალური და რეგიონული პროგრამების მიმდინარეობა, პოსტკოვიდურ პერიოდში კრიზისის დაძლევის და საავიაციო სექტორის მდგრადობისკენ მიმართული ერთობლივი ღონისძიებები განიხილეს. ხაზი გაესვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და წევრი სახელმწიფოების თანამშრომლობის გაძლიერების და დროული ქმედებების განხორციელების მნიშვნელობას საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციასთან და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ICAO-ს გლობალური გრძელვადიანი მიზნის (LTAG) მისაღწევად. ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს დელეგაციამ შეხვედრა გამართა სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ევროპისა და ჩრდილოეთ ატლანტიკური რეგიონული ოფისის დირექტორთან ნიკოლას რალოსთან. ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრები შედგა ასევე რეგიონის წევრი სახელმწიფოების საავიაციო ხელისუფლებების ხელმძღვანელ პირებთან.

- *აგვისტო, 2023 წელი*

  საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) ტექნიკური თანამშრომლობის ბიუროს დირექტორს, ხორხე ვარგასს და ამავე ბიუროს სხვა წარმომადგენლებს უმასპინძლა. შეხვედრის მიზანს, ICAO-ს ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი პროექტების და საქართველოს საავიაციო ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივების განხილვა წარმოადგენდა. ბიუროს ხელმძღვანელმა ქართულ მხარეს გააცნო ის ახალი ინიციატივები, რაც სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციას გააჩნია წევრი სახელმწიფოების ხელშეწყობისთვის. განსაკუთრებით, ხაზი გაესვა ქვეყნების შესაძლებლობების განვითარებას და გაძლიერებას ICAO-ს სტანდარტების და რეკომენდებული პრაქტიკის დანერგვის პროცესში. ამასთან, ვარგასმა დადებითად შეაფასა სააგენტოს მონაწილეობა ICAO-ს ეგიდით განხორციელებულ აქტივობებში და იმედი

გამოთქვა, რომ უწყების სპეციალისტები მომავალშიც აქტიურად ჩაერთვებიან საავიაციო ხელისუფლებების ხელშეწყობისა და პროფესიულ კონსულტირების პროგრამებში. სააგენტოს ხელმძღვანელმა ტექნიკური თანამშრომლობის ბიუროს დირექტორს მადლობა გადაუხადა საქართველოში ვიზიტისთვის და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების მზადყოფნისთვის. როგორც გივი დავითაშვილმა აღნიშნა, სააგენტო მაქსიმალურად გამოიყენებს ყველა შესაძლებლობას ცოდნის მიღების და წარმატებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკების გაცნობის კუთხით. ამასთანავე, უწყება ხელს შეუწყობს მისი თანამშრომლების ჩართულობას გლობალურ თუ რეგიონალურ პროექტებში, რომლებიც ითვალისწინებს გამოცდილების გაზიარებას ICAO-ს წევრი სახელმწიფოებისთვის.

- *სექტემბერი, 2023 წელი*

  სააგენტოს სპეციალისტები ყირგიზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიწვევით ქალაქ ბიშკეკში იმყოფებოდნენ. ვიზიტი მიზნად ისახავდა ყირგიზეთის საავიაციო ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის პრაქტიკული სწავლებების (On-the-job training) განხორციელებას და პროფესიულ კონსულტირებას ისეთი მიმართულებებით როგორიცაა აეროპორტებზე და აეროდრომებზე ზედამხედველობა (AGA), ავიაკომპანიებზე ზედამხედველობა (OPS), საჰაერო მოძრაობის ორგანიზებაზე ზედამხედველობა (ATM), სააერნაოსნო ინფორმაციით მომსახურებაზე (AIS), ფრენის პროცედურების დიზაინის (PANS-OPS) და საავიაციო რუკების (Cartographic) უზრუნველყოფაზე ზედამხედველობა. ამასთან, ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში, ონლაინ შეხვედრა შედგა მეტეოროლოგიური მომსახურების ზედამხედველობის (MET) საკითხებში. ადგილზე და დისტანციურად განხორციელებული სწავლებები ითვალისწინებდა გამოცდილების გაზიარებას შესაბამისი ავიასაწარმოების საინსპექციო შემოწმების მომზადების, ინსპექტირების პროცესის წარმართვის, აუდიტის ტექნიკის და ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებები კონტროლის კუთხით.

- *სექტემბერი, 2023 წელი*

  საქართველოს უპილოტო საჰაერო ხომალდების რეგულირების და ზედამხედველობის ევროპული გამოცდილების შესწავლის მიზნით, სააგენტოს სპეციალისტები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იმყოფებოდნენ. გერმანიის საავიაციო ხელისუფლებაში (Luftfahrt-Bundesamt – Federal Aviation Authority) სასწავლო ვიზიტი ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის (TAIEX) ევროკავშირის პროგრამის მხარდაჭერით გახდა

შესაძლებელი. სამდღიანი სასწავლო მივლინების ფარგლებში, სააგენტოს სპეციალისტები გაეცნენ კოლეგების პრაქტიკულ გამოცდილებას უპილოტო საჰაერო ხომალდების ზედამხედველობის და მათი საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის კუთხით. განხილულ იქნა უპილოტო საჰაერო ხომალდების ოპერატორების რეგისტრაციის, ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავების, საინსპექციო საქმიანობის განხორციელების, საჰაერო მოძრაობის მართვის, ასევე, უპილოტო საჰაერო ხომალდების ოპერირებისა და საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის ურთიერთგადამკვეთი საკითხები.

- *სექტემბერი, 2023 წელი*

  ევროპის სამოქალაქო ავიაციის კონფერენციის (ECAC) და მალტის რესპუბლიკის ტრანსპორტის სფეროს მართვის სახელმწიფო უწყების (Transport Malta) ერთობლივი მოწვევით, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ხელმძღვანელი ქალაქ ვალეტაში იმყოფებოდა, სადაც ECAC-ის წევრი ქვეყნების საავიაციო ხელისუფლებების გენერალურ დირექტორთა სპეციალურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. შეხვედრაზე მხარეებმა ევროპის რეგიონისათვის პრიორიტეტული საკითხები და თანამშრომლობის პროექტები განიხილეს. ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორმა გივი დავითაშვილმა და საქაერონავიგაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ლევან კარანაძემ შეხვედრა გამართეს ICAO-ს გენერალურ მდივანთან ხუან კარლოს სალაზართან და ამავე ორგანიზაციის ევროპისა და ჩრდილოეთ ატლანტიკური რეგიონული ოფისის დირექტორთან ნიკოლას რალოსთან. მხარეებმა ისაუბრეს ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებზე, ორგანიზაციის პროგრამებსა და ღონისძიებებში საქართველოს ჩართულობაზე და სააგენტოს აქტივობებზე, რომლებიც ითვალისწინებს პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერას ICAO-ს სტანდარტების და რეკომენდებული პრაქტიკის დანერგვის პროცესში. საუბარი შეეხო ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის დაუშვებლობის საკითხს. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირების მხრიდან კიდევ ერთხელ გაჟღერდა, რომ სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია აფხაზეთს საქართველოს შემადგენელ ნაწილად აღიარებს. შესაბამისად, ICAO-ს მიერ სოხუმის აეროპორტს ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი ოთხნიშნა კოდი არ მიენიჭება, სანამ აღნიშნულზე ორგანიზაციას არ მიმართავს უფლებამოსილი საავიაციო ხელისუფლება, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.

- *ოქტომბერი, 2023 წელი*

  სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) ორგანიზებით, საავიაციო მწარმოებელი კორპორაცია Boeing-ის მხარდაჭერით და თურქეთის საავიაციო ხელისუფლების მასპინძლობით, საავიაციო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის შემუშავების საკითხებზე სტამბოლში სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ღონისძიებას ICAO-ს ევროპის რეგიონის ცხრა სახელმწიფოს ოცდახუთამდე წარმომადგენელი ესწრებოდა. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მხრიდან, სემინარის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა სააგენტოს სააერნაონსო მომსახურების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი და ICAO-ს EUR/NAT რეგიონის ფრენის უსაფრთხოების ეროვნული გეგმის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი დავით ჭეიშვილი. სემინარზე მონაწილეების წინაშე პრეზენტაციით წარსდგა დავით ჭეიშვილი, რომელმაც სხვადასხვა ქვეყნის საავიაციო ხელისუფლების პირველ პირებს და საავიაციო უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვაზე პასუხისმგებელ სპეციალისტებს გაუზიარა საქართველოს გამოცდილება საავიაციო უსაფრთხოების გაუმჯობესების კუთხით გადადგმული ნაბიჯების, მათ შორის NASP-ის შემუშავების და ამოქმედების შესახებ. საკითხის განხილვა ინტერაქციულ რეჟიმში წარიმართა.

- *დეკემბერი, 2023 წელი*

  2023 წლის 28 ნოემბერს, ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოში (კიოლნი), ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტის (EaP) საორგანიზაციო კომიტეტის პირველი შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ხელმძღვანელმა გივი დავითაშვილმა და ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსმა თამარ ლუტიძემ. ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტი (EaP), რომელსაც ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტო (EASA) განახორციელებს, ითვალისწინებს ბენეფიციარი ქვეყნების (საქართველო, უკრაინა, მოლდოვის რესპუბლიკა, აზერბაიჯანის რესპუბლიკა და სომხეთის რესპუბლიკა) ტექნიკურ მხარდაჭერას ეროვნული საავიაციო მარეგულირებელი ნორმების ევროკავშირის მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის დონის გაუმჯობესების მიზნით. საორგანიზაციო კომიტეტის პირველი შეხვედრაზე მხარეებმა პროექტის 2024 წლის სამოქმედო გეგმა და ის ძირითადი აქტივობები განიხილეს, რომლებიც ბენეფიციარი სახელმწიფოების ინტერესების გათვალისწინებით, მათ შორის საქართველოს აქტიური ჩართულობით დაიგეგმა. მნიშვნელოვანია, რომ ქართული მხარის ინიციატივით, ტრენინგების და სემინარების პარალელურად, პროექტის ფარგლებში განხორციელდება სამუშაო ვიზიტები

ევროკავშირის რეგულაციების დანერგვის სტატუსის პირველადი შეფასების მიზნით (Initial review visit), რაც დაეხმარება სააგენტოს ევროკავშირის მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის პროცესის შემდგომ გაუმჯობესებაში.

- *დეკემბერი, 2023 წელი*

  სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) ეგიდით ქალაქ რიადში გამართული საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მოლაპარაკებების (ICAN 2023) ფარგლებში, საქართველოსა და ომანის სასულთნოს მთავრობებს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი. საქართველოს მხრიდან, შეთანხმებას სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ხელმძღვანელმა გივი დავითაშვილმა მოაწერა ხელი. აღნიშნული შეთანხმება, ავიაკომპანიებისთვის მიმზიდველს გახდის საქართველოსა და ომანს შორის პირდაპირი რეგულარული ფრენების განხორციელებას და ხელს შეუწყობს როგორც ფრენების არეალის გაფართოებას, ისე ტურიზმისა და ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას. შეთანხმება ძალაში, ორივე მხარის მიერ შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შემდეგ შევა. საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმება ეფუძნება ლიბერალურ პრინციპებს და არ ითვალისწინებს შეზღუდვებს დანიშნული ავიაკომპანიების რაოდენობასა და დანიშნულების პუნქტებზე. ამასთან, დანიშნულ ავიასაწარმოებს უფლება აქვთ თავად განსაზღვრონ ფრენების ტევადობა და სიხშირე საკუთარი შეხედულებისამებრ.

- *დეკემბერი, 2023 წელი*

  სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) ეგიდით ქალაქ რიადში გამართული საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მოლაპარაკებების (ICAN 2023) ფარგლებში, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის საავიაციო ხელისუფლებების წარმომადგენლებმა წარმატებით დაასრულეს მოლაპარაკებები ორ ქვეყანას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ არსებული შეთანხმების დანართის განახლების თაობაზე. საქართველოს მხრიდან, შესაბამის მემორანდუმს ხელი მოაწერა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორმა გივი დავითაშვილმა. მემორანდუმის ფარგლებში განახლებული დანართის თანახმად, ქართულ ავიაკომპანიებს უფლება მიეცათ რეგულარული ფრენები განახორციელონ შეუზღუდავად, თურქეთის ნებისმიერი ქალაქის მიმართულებით. აღნიშნულ ცვლილებებამდე, რეგულარული ფრენების განხორციელება მხოლოდ სტამბოლის, ანტალიის, ანკარას და ტრაბზონის მიმართულებით იყო შესაძლებელი. რაც შეეხებათ თურქული მხარის ავიაკომპანიებს, როგორც წინამორბედი, ისე განახლებული

შეთანხმების დანართის ფარგლებში, მათ რეგულარული საჰაერო მიმოსვლის განხორციელების შესაძლებლობა საქართველოს სამივე საერთაშორისო აეროპორტის მიმათულებით აქვთ. თურქეთის ყველა საერთაშორისო აეროპორტის გახსნამ ახალი შესაძლებლობები გაუხსნა ქართულ ავიაკომპანიებს სამგზავრო და სატვირთო ოპერირების განხორციელების კუთხით.

- *დეკემბერი, 2023 წელი*

  სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) ეგიდით ქალაქ რიადში გამართული საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მოლაპარაკებების (ICAN 2023) ფარგლებში, საქართველოს დელეგაციამ შეხვედრები გამართა ისლანდიისა და სეიშელის რესპუბლიკების საავიაციო ხელისუფლებებთან. წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად, გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმები, რომლებიც საჰაერო მიმოსვლის შესახებ მთავრობათაშორისი ორმხრივი შეთანხმებების გაფორმებამდე, ისლანდიასთან და სეიშელთან პირდაპირი ფრენების დაწყებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებს არეგულირებს. მხარეთა შორის გაფორმებული მემორანდუმების თანახმად, დაინტერესებულ ავიაკომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ განახორციელონ პირდაპირი რეგულარული ფრენები შესაბამისი ქვეყნების ნებისმიერ პუნქტებს შორის.

- *დეკემბერი, 2023 წელი*

  ევროკავშირის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის პროგრამის (TAIEX) მხარდაჭერით და საფრანგეთის საავიაციო ხელისუფლების - სამოქალაქო ავიაციის გენერალური დირექტორატის (DGAC) მასპინძლობით, სააგენტოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები სასწავლო ვიზიტებით საფრანგეთში, ქალაქ ბორდოსა და ქალაქ პარიზში იმყოფებოდნენ. განხორციელებული აქტივობა მიზნად ისახავდა სამოქალაქო ავიაციის შესაბამისი მიმართულებებით წამყვანი ევროპული ქვეყნის გამოცდილების შესწავლას და სამუშაო პროცესების ადგილზე გაცნობას. ქალაქ ბორდოში გამართული შეხვედრების ფარგლებში, სააგენტოს სპეციალისტები გაეცნენ საფრანგეთის საავიაციო ხელისუფლების მიერ, საავიაციო სამუშაოების და საერთო დანიშნულების ავიაციის რეგულირების და ზედამხედველობის კუთხით წარმოებულ ძირითად პროცესებს და პროცედურებს. პარიზში, სამოქალაქო ავიაციის გენერალური დირექტორატში განხორციელებული სასწავლო ვიზიტის დღის წესრიგის მთავარ საკითხს ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციის და პერსონალის ლიცენზირების წარმატებული პრაქტიკის გაცნობა წარმოადგენდა.

სააგენტოს საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა და ეფექტურობის ამაღლება

- სააგენტოს 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ძირითადად მოიცავდა თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისა და სააგენტოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საქონელი და მომსახურების ხარჯებს.

- 2023 წელს, გაწეულ იქნა მნიშვნელოვანი სამუშაო სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაძლიერების კუთხით. საავიაციო უსაფრთხოებაზე და უშიშროებაზე ზედამხედველობის ფარგლებში, გეგმიური და არაგეგმიური ინსპექტირებების განხორციელების და სააგენტოს თანამშრომლების სხვა აუცილებელი გადაადგილების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, შესყიდულ იქნა ავტოსატრანსპორტო საშუალება - მინივენი CITROEN Spacetourer (გამოშცვების წელი: 2023წ).

- შესყიდულ იქნა დაახლოებით 60 ათასი ლარის ღირებულების სატრენინგო მომსახურება JAA Training Organization-დან, AIRPORT COUNCIL INTERNATIONAL-დან და სხვა საავიაციო სასწავლო დაწესებულებებიდან.

- შეძენილ იქნა WEBEX-ის ლიცენზია; გარემოს სისტემების კვლევის ინსტიტუტის“ (ESRI) პროგრამული უზრუნველყოფის და მისი დანამატის ერთწლიანი ლიცენზიები.



- 2023 წელს, სააგენტოს მიერ გამოცხადდა 8 საჯარო კონკურსი ვაკანტურ პოზიციებზე. აქედან: კონკურსის შედეგად შეირჩა 3 თანამშრომელი, 3 კონკურსი გამოცხადდა ჩაშლილად 2 კონკურსის მიმდინარეობა გაგრძელდა 2024 წელს.

- გამოსაცდელი ვადა წარმატებით დაასრულა და განუსაზღვრელი ვადით დაინიშნა 3 თანამშრომელი; შრომითი ხელშეკრულება სხვადასხვა ვადით გაუფორმდა 4 თანამშრომელს; გათავისუფლდა 4 თანამშრომელი.

- სააგენტოში დაიხვეწა ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორების მოწმობების გაცემის პროცესი. კერძოდ, შემუშავდა ინსპექტორთა ახალი მონაცემთა ბაზა; შემუშავდა მოწმობის ახალი ფორმა და დიზაინი.

- 2023 წელს, დეპარტამენტების საჭიროებების შესაბამისად ითარგმნა 12 დოკუმენტი (წესის პროექტი, ევროპული რეგულაცია, პროგრამა, სახელმძღვანელო და ა.შ.).

- „აღმასრულებელი ხელისუფლების, ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ემბლემის გამოსახვის წესის“ შესახებ საქართველოს მთავრობის N572 დადგენილების შესაბამისად ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმდა და დამტკიცდა ახალი ბლანკის ნიმუშები.

- სააგენტოს დაფინანსებით, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით, თუ საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში, 2023 წელს განხორციელდა შემდეგი სწავლებები:

1. „Introduction to Air Traffic Flow and Capacity Management“ (IANS) (1 თანამშრომელი);
2. USOAP CMA Phase 1 „ICAO - Global Aviation Training Trainair Plus“ (Online course) (1 თანამშრომელი);
3. სახელმძღვანელოს/შიდა პროცედურის შემუშავების შიდა სასაწავლო კურსი (ჩატარდა 4 სასწავლო კურსი სააგენტოს თანამშრომლებისთვის);
4. „Advanced PBN Procedure Design“ ANI - Air Navigation Institute (1 თანამშრომელი);
5. „Search and Rescue Administrators“ (SAA - Singapore Aviation Academy) (1 თანამშრომელი);
6. „Civil Aviation Management Programme“ (SAA - Singapore Aviation Academy) (1 თანამშრომელი);
7. „Management and Oversight of Changes“ (IANS - Institute of Air Navigation Services) (1 თანამშრომელი);
8. „ATCO Competence and Training Organization Certification“ (LEX-COMP-ATCO) IANS (1 თანამშრომელი);
9. „Cyber Security in ATM - Main threats and solutions (SEC-CYBER) IANS (1 თანამშრომელი);
10. „Aviation Crisis Management Programme“ (SAA - Singapore Aviation Academy) (1 თანამშრომელი);
11. „კომპეტენციებზე დაფუძნებული გასაუბრების მომზადება და ჩატარება“ EU-ს მხარდაჭერით და დაფინანსებით (2 თანამშრომელი);
12. ტრენინგი - „საჯარო კონსულტაციები“ UNDP, UKAID (1 თანამშრომელი);
13. GSN3: Emergency Planning and Crisis Management (ACI - Airports Council International) (1 თანამშრომელი);
14. UAS-OPS - Professional operations of Unmanned Aircraft Systems (UAS) - JAA Training Organization (1 თანამშრომელი);
15. უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა (შიდა სწავლება თანამშრომლებისთვის);
16. საინფორმაციო ლექცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე (პერსონალურ მონაცემთა დაცვის სააგენტო) (თანამშრომლები);
17. Transport of Dangerous Goods By Air - IATA/ Azerbaijan Aviation Academy (1 თანამშრომელი);
18. კრიზისის დროს კომუნიკაცია - სტრატეგიული კომუნიკაციების ტრენერი (1 თანამშრომელი);
19. მართვა და ლიდერობა - საჯარო სამსახურის ბიურო UNDP/UKAID (1 თანამშრომელი);
20. Training on Program "Fire Safety Providing at Civil Aviation Facilities" - University of Civil Protection (1 თანამშრომელი);
21. GNSS Radio Frequesncy Interference (NAV-GNSS-RFI) IANS - Institute of Air Navigation Services (1 თანამშრომელი);
22. Dangerous Goods by Air (შიდა სწავლება სააგენტოს თანამშრომლებისთვის);

23. Learning & Development Methods Workshop for CAAs - JAA Training Organiozation (1 თანამშრომელი);
24. ICAO & EASA Safety Management System Requirements – Introduction - JAA Training Organiozation (1 თანამშრომელი);
25. General Familiarization Training Program on Eurocopter AS 350 B3 - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი (2 თანამშრომელი);
26. General Familiarization Training Program on Hawker 800 XP - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი (2 თანამშრომელი);
27. POA (Annex Part - 21) ECAC, JAA Training Organization (ონლაინ სწავლება) (1 თანამშრომელი);
28. Airport Landside Security (IAAA, Incheon) (1 თანამშრომელი);
29. FSTD Inspector On The Job Training - State Agency "Civil Aviation Agency " Republic of Latvia (3 თანამშრომელი);
30. Basic Anex Part 21 - JAA Training Organization (ონლაის სწავლება) (3 თანამშრომელი);
31. Quality Management System Awareness Training Course (შიდა სწავლება სააგენტოს თანამშრომლებისთვის);
32. Advanced Accident and Incident Investigation Training Course - JAA Training Organization (ონლაინ სწავლება) (4 თანამშრომელი);
33. Labor Safety Specialist Full Accredited Program - LTD Safety Academia Learning Center (1 თანამშრომელი)
34. სახელმძღვანელოს/შიდა პროცედურების შემუშავება (შიდა საწავლო კურსი თანამშრომლებისთვის);
35. Instructor of Aviation Security training course (ICAO, Kazakhstan) (1 თანამშრომელი);
36. Oversight of Changes in ATM/ANS Part 1 - IANS (Luxembourg) (1 თანამშრომელი);
37. Advanced Accident and Incident Investigation - JAA Training Organization (ონლაინ სწავლება) (2 თანამშრომელი);
38. Advanced Aviation Lead Auditor - JAA Training Organization (ონლაინ სწავლება) (3 თანამშრომელი);
39. Auditing Technichues in relation to Flight Crew Licensing - JAA Training Organization (1 თანამშრომელი);
40. Cabin Safety Operations - JAA Training Organization (ონლაინ სწავლება) (1 თანამშრომელი);
41. Management System in the context of ATM/ANS - Institute of Air Navigation Services (1 თანამშრომელი);
42. The Introduction to Aviation Regulations - JAA Training Organization (ონლაინ სწავლება) (3 თანამშრომელი);
43. Dangerous Goods Training Course for CAA Staff and Airport Authorities - JAA Training Organization (3 თანამშრომელი);
44. MMEL/MEL სასწავლო კურსი (შიდა სწავლება) (1 თანამშრომელი);

45. The Introduction to Aviation Regulations (ონლაინ სწავლება) JAA Training Organization (3 თანამშრომელი);
46. სტრატეგიული კომუნიკაციები (სტრატეგიული კომუნიკაციების ტრენერი) (1 თანამშრომელი);
47. Personal Licensing (PEL) System Part 1 (ონლაინ სწავლება) SAA - Singapore Aviation Academy (1 თანამშრომელი);
48. Personal Licensing System Course (SAA - Singapore Aviation Academy) (1 თანამშრომელი);
49. საჰაერო ტრასპორტით სახიფათო ტვირთების გადაზიდვების შიდა სასწავლო კურსი (1 თანამშრომელი);
50. EASA Air Operations SPO (Specialised Operations) JAA Training Organization (2 თანამშრომელი).

სააგენტოში ხარისხის მართვის პოლიტიკის შესრულების უზრუნველყოფა

2023 წლის განმავლობაში სააგენტოს ხარისხის მართვის დეპარტამენტის მიერ უზრუნველყოფილ იქნა სააგენტოს მართვის სისტემის, სააგენტოში წარმოებული ძირითადი პროცესებისა და მათი რელევანტური პროცედურების მოქმედ ეროვნულ და საერთაშორისო საავიაციო სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი, მოქმედ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესაფასებელი ღონისძიებების დაგეგმვა და რეგულარული განხორციელება, სააგენტოს ხელმძღვანელობისათვის შესაბამისობის მონიტორინგის შედეგების წარდგენა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებელი და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების კონტროლი.

დამტკიცდა როგორც მენეჯმენტის სისტემის დოკუმენტაციები (უსაფრთხოების მართვის სისტემის დოკუმენტაციის შეთანხმების პროცედურა; ცვლილებების მართვის პროცედურა; სააგენტოში კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემის პროცედურის ცვლილება), ისე სხვა სააგენტოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ ინიცირებული შიდა პროცედურები (ავიამეთვალყურეთა სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირების პროცედურა; სამეთვალყურეო პუნქტზე კვალიფიკაციის შენარჩუნების სახელმძღვანელოს შეთანხმების პროცედურა; ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობის სერტიფიცირების პროცედურის ცვლილება;

სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

- 2023 წელს, სააგენტოში შემოვიდა 27 განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. აქედან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის I ნაწილის შესაბამისად, მოთხოვნილი ინფორმაცია გაიცა 20 მოქალაქეზე და ორგანიზაციაზე.

- „ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N219 დადგენილებით დაწესებულ ვადებში, სააგენტოს მიერ, ხორციელდებოდა ნუსხით განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ატვირთვა ოფიციალურ ვებ გვერდზე;

- გარე განხილვის ფარგლებში, ნორმატიული აქტების პროექტების განთავსება ხდებოდა (12 პროექტი) სააგენტოს ვებ-გვერდზე სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ განყოფილებაში (ნორმატიული აქტების პროექტები).

სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსა და საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, სააგენტომ ორგანიზება გაუწია საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტების რიგით მესამე პროფესიულ პრაქტიკას სააგენტოში (14.03.23 – 28.04.23). პრაქტიკა გაიარეს სასწავლო დაწესებულების საინჟინრო და ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტების სტუდენტებმა. სწავლება განხორციელდა სამოქალაქო ავიაციის ყველა მიმართულებით და მოიცავდა როგორც თეორიულ სწავლებას, ისე პრაქტიკულ ასპექტებს. სტუდენტები გაეცნენ უწყების საქმიანობას დარგის რეგულირების, ავიაკომპანიების ბაზარზე დაშვების, ავიასპეციალისტებისა და ავიასაწარმოების სერტიფიცირების და მათი ზედამხედველობის კუთხით.

სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების ყოველდღიური მუშაობის სპეციფიკის ადგილზე გაცნობის პარალელურად, ავიაკომპანია Geosky-სთან თანამშრომლობით, უწყებამ ორგანიზება გაუწია სტუდენტების ვიზიტს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, რომლის ფარგლებშიც, სააგენტოსა და ავიაკომპანიის წარმომადგენლების მეგზურობით, სტუდენტებმა დაათვალიერეს Boeing 747-200 ტიპის საჰაერო ხომალდი (4L-GEO) და ტექნიკური მომსახურების ინფრასტრუქტურა. სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორებმა სტუდენტებს გააცნეს საჰაერო ხომალდის საფრენად ვარგისობის საინსპექციო შემოწმების პრაქტიკული ასპექტები და უპასუხეს მათ შეკითხვებს.

სასწავლო პრაქტიკის დასკვნითი ღონისძიების ფარგლებში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ მარიამ ქვრივიშვილმა და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორმა გივი დავითაშვილმა სტუდენტებს პროფესიული პრაქტიკის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადასცეს.

სოციალური პასუხისმგებლობა

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანამშრომლები 2014 წლიდან ახორციელებენ ყოველთვიურ დონაციას სოლიდარობის ფონდში. 2023 წლის განმავლობაში, თანამშრომლების პირადი შემოწირულობებით ფონდისთვის 5055 ლარის მობილიზება მოხერხდა;

2024-25 წლებში დაგეგმილი მნიშვნელოვანი აქტივობები:

2024-25 წლებში, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, იგეგმება შემდეგი მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელება:

- საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირებისა და საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციის წესების შემუშავება ევროპული სტანდარტის მიხედვით;
- საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ეკიპაჟის წევრების ინსტრუქტორების და გამომცდელების მიმართ ევროპული სტანდარტების გავრცელება;
- საერნაოსნო მომსახურების ზედამხედველობასთან დაკავშირებული ევროპული რეგულაციების დანერგვა;
- აეროპორტებში სახმელეთო მომსახურებასთან („ground handling“) დაკავშირებული ევროპული სტანდარტების დანერგვა;
- ICAO-ს ახალ სტანდარტებზე გადასვლა აეროდრომების დაცვის არეში სიმაღლეების შეთანხმების კუთხით;
- 2024 წელს დაგეგმილი ICAO-ს საავიაციო უშიშროების აუდიტისთვთვის მზადება;
- სამოქალაქო აეროდრომზე ბაქანზე საქმიანობის მართვის (Apron Management) წესის მიღება;
- კომერციული სპეციალიზებული ექსპლუატაციის წესის (SPO) მიღება;
- პლანერების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესის (SAO) მიღება შესაბამისი ევროპული სტანდარტის მიხედვით;
- ცვლილებები უპილოტო საჰაერო ხომალდების სისტემების რეგულირების კუთხით და მათი ფრენებისთვის შეზღუდული/აკრძალული არეების გასაჯაროება;
- საბორტო კვების, საბორტო მარაგის, დასუფთავების კომპანიების და აეროპორტის სხვა მოიჯარეებისთვის წესის შემუშავება;
- ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების და ავიასაწარმოების ზედამხედველობის პროცესის ეტაპობრივი დიჯიტალიზაცია და სხვა.